რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№559/თ

„03“ ნოემბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**რუსთავის საქალაქო სასამართლოში სასამართლო მედიაციის გამართულად ფუნქციონირებისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების კონსულტანტის სასამართლო მედიაციის საკითხებში - III რანგის - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - სერგო ლორთქიფანიძესთვის ცალკეული მოვალეობების განსაზღვრის თაობაზე**

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №29-ით დამტკიცებული „სასამართლო მედიაციის პროგრამით“ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №30-ით დამტკიცებული „მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი“-თ განსაზღვრული დანაწესების განუხრელად დაცვის და რუსთავის საქალაქო სასამართლოში მედიაციის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭიროა განისაზღვროს, როგორც რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების კონსულტანტის სასამართლო მედიაციის საკითხებში, ასევე მოსამართლის თანაშემწის და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნის ცალკეული მოვალეობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №29-ით დამტკიცებული „სასამართლო მედიაციის პროგრამის“ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №30-ით დამტკიცებული „მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი“-ს საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში - III რანგის - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ***სერგო ლორთქიფანიძე უზრუნველყოფს:***
   - ✓ „მედიაციაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №29-ით დამტკიცებული „სასამართლო მედიაციის პროგრამით“ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №30-ით დამტკიცებული „მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი“-თ განსაზღვრული დანაწესების განუხრელად დაცვას;
   - ✓ მხარეებთან, მედიატორებთან და სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან კომუნიკაციას;

- ✓ რუსთავის საქალაქო სასამართლოში სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეებზე მედიატორის შერჩევის პროცესის ორგანიზებას და მედიატორთა დანიშვნის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის აღრიცხვას;

- ✓ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა ნაკადის, მედიატორთა დატვირთულობისა და მედიაციის დასრულების შედეგების თაობაზე სტატისტიკური მასალების შეგროვებას და განზოგადებას. სტატისტიკის სასამართლოს თავმჯდომარისთვის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის და სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის წარდგენას, თვეში ერთხელ, ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ასევე მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ;

- ✓ მედიატორთა ერთიანი რეესტრით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ინტენსიური კომუნიკაციის წარმოებას და რეესტრში შეტანილი ცვლილებების თაობაზე მონაცემების განახლებას არანაკლებ 3 თვეში ერთხელ;

- ✓ სასამართლო მედიაციის ჩასატარებლად საჭირო სივრცის გამოყოფას და მის მატერიალურ - ტექნიკურ აღჭურვას, სასამართლო მედიაციის პროცესის ორგანიზების მიზნით, მედიატორისათვის სტაჟიორებისა და პრაქტიკანტების დახმარებას;

- ✓ ერთგვარი პრაქტიკის დადგენის, ასევე მედიაციის თაობაზე ცნობადობის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და ამ მიზნით სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ინტენსიურ თანამშრომლობას. სასამართლო მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლების და გამოცდილების გაზიარების მიზნით საინფორმაციო სესიების ჩატარება და ჩატარებული საინფორმაციო სესიების აღრიცხვა;

- ✓ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეებზე, ამავე ბრძანებით დამტკიცებული საინფორმაციო ბარათის (დანართი №1) წარმოებას და სისტემატიზაციას;

- ✓ მედიატორისთვის და მედიაციის მხარისთვის (წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში ასევე წარმომადგენლისთვის) კონფიდენციალურობის შესახებ ხელწერილის ჩამორთმევას, რომელსაც ურთავს საქმეს;

- ✓ მოქალაქეებისთვის და მხარეებისთვის სასამართლო მედიაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ამ მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩანიშვნასა და ჩატარებას ინდივიდუალურად ან კატეგორიების მიხედვით შერჩეულ საქმეებზე მედიატორებსა და მხარეებს შორის, მედიატორთან შეთანხმებით სასამართლო მედიაციის პროცესის ჩანიშვნას და პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო ღონისძიებებს;

- ✓ სესიების რაოდენობის, მედიაციის პროცესში მონაწილეობისთვის მხარეთა გამოუცხადებლობის, სასამართლო მედიაციის ვადის დაცვის, ასევე მისი გაგრძელების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას, ამავე ბრძანებით დამტკიცებულ საინფორმაციო ბარათში (დანართი №1);

- ✓ მედიატორობის კანდიდატსა და მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას, საქმეზე არჩეული/დანიშნული მედიატორისათვის ინფორმაციის და არსებული საქმის მასალების მიწოდებას. არჩეული/დანიშნული მედიატორისთვის საქმის მასალების მიწოდება

აისახება სპეციალურად ამ მიზნებისთვის გახსნილ ჟურნალში. ჟურნალში შეიტანება: საქმის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემის თარიღი, მხარეთა შეთანხმებით შერჩეული მედიატორი/სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ დანიშნული მედიატორი, საქმის მედიატორისთვის გადაცემის თარიღი და მიმღების პირის ხელმოწერა, რასაც წინ უსწრებს გაუმჟღავნებლობის თაობაზე ხელწერილის ჩამორთმევა (დანართი №3);

- ✓ მხარეთა და მედიატორთა შეხვედრების თაობაზე სესიების საათობრივ აღრიცხვას, რაც დასტურდება შესაბამის უწყისზე (დანართი №2) კონსულტანტის მედიაციის საკითხებში, მედიატორისა და მხარეთა ხელმოწერებით. ჩატარებული სესიების თაობაზე უწყისში შეიტანება განსახილველი საქმის ნომერი, მედიატორის ვინაობა, გამოცხადებული და გამოუცხადებელი მხარის ვინაობა, გამოუცხადებლობის მიზეზი, თარჯიმნის ვინაობა (საჭიროების შემთხვევაში), სასამართლო მედიაციის წარმართვის ენა, სესიის დაწყების და დასრულების დრო. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №30-ით დამტკიცებული „მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი"-ს მე-4 მუხლის შესაბამისად, ყოველი კვარტლის ბოლოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის მედიატორისათვის ასანაზღაურებელი თანხების თაობაზე ინფორმაციის გაგზავნას;
- ✓ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეებზე შესაბამისი დოკუმენტაციის (მხარეთა კმაყოფილების კითხვარი, საინფორმაციო ბარათი, მედიაციის ვადის გაგრძელების აქტი, გაუმჟღავნებლობის თაობაზე ხელწერილი, სამედიაციო მორიგების აქტი, აცილების ხელწერილი, თარჯიმნის ხელწერილი, შეუთანხმებლობის შესახებ აქტი, სასამართლო მედიაციის პროცესზე გამოძახების (დაბარების) და გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ გაფრთხილების აქტი, სატელეფონო აქტი, უწყება, მხარეებისთვის მედიატორთა კანდიდატების შეთავაზების დოკუმენტი, მედიატორის მიერ შესრულებული სამუშაოს უწყისი, სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად საქმესთან დაკავშირებული მიმართვები) წარმოება;
- ✓ საქმეთა ნაკადის მართვას, ამ მიზნით მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებას;
- ✓ სასამართლო მედიატორებსა და მოსამართლეებს შორის შეხვედრების ორგანიზებას გამოცდილების გაზიარებისა და მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, პრობლემების იდენტიფიცირებას და შეგროვებას;
- ✓ სასამართლო მედიაციის დასრულების შემდეგ კმაყოფილების კვლევის მიზნით, მხარეთათვის ამავე ბრძანებით დამტკიცებული კმაყოფილების შეფასების კითხვარის (დანართი №17) წარდგენას;
- ✓ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეზე მედიატორის დანიშვნის მიზნით, საქმის გადაცემიდან 1 დღის ვადაში მხარეებისთვის მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა სიის გაგზავნა/შეთავაზებას და მხარეებისთვის მედიატორთა შერჩევისთვის 3 დღის ვადის განსაზღვრას, რაზედაც ადგენს შესაბამის დოკუმენტს;
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის მხარე უარს განაცხადებს გამოცხადდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში მედიატორთა კანდიდატურის არჩევის მიზნით, კონსულტანტი სასამართლო

მედიაციის საკითხებში, მხარეს საქმეში მითითებულ მისამართზე უგზავნის სასამართლოს მედიატორთა შეთავაზების შესახებ აქტს და მედიატორთა სიას სასამართლოს კურიერის მეშვეობით. სასამართლოს კურიერი ავსებს საინფორმაციო ბარათს. საინფორმაციო ბარათის დედანი რჩება მხარეს, ხოლო ასლი უბრუნდება კონსულტატს მედიაციის საკითხებში;

- ✓ მხარეთა მიერ მედიატორის კანდიდატზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართავს სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციას საქმეზე მედიატორის დანიშვნის უზრუნველსაყოფად;
- ✓ არჩეული/დანიშნული მედიატორისთვის მედიაციის პროცესის მომზადებაში დახმარებას, რაც მოიცავს მედიატორთან და მხარეებთან შეთანხმებით სესიის თარიღის დანიშვნას, სესიისთვის სივრცის მოწესრიგებას (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა, ფურცლებით, კალმებით, სპეციაურად მედიაციის ცენტრისთვის გამოყოფილი კომპიუტერით - ე.წ. „ნოუთბუქით" უზრუნველყოფა), მხარეებთან წინასწარ კომუნიკაციაში დახმარებას, სესიაზე გამოსაცხადებელი პირების სიის შედგენას, მონაწილეთა მიერ გაუმჟღავნებლობის თაობაზე შეთანხმებაზე ხელმოწერას, მედიაციის ვადების ზედამხედველობას;
- ✓ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიაციის წარმართვის ენის განსაზღვრას, საჭიროების შემთხვევაში მედიაციის პროცესში თარჯიმნის ან/და ექსპერტის ჩართვის ორგანიზაციული მხარის უზრუნველყოფას და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შედგენას;
- ✓ სასამართლო მედიაციის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში, ინფორმაციის დაუყოვნებლივ მოსამართლისთვის მიწოდებას;
- ✓ სასამართლო მედიაციის შეუთანხმებლად დასრულების შემთხვევაში, შეუთანხმებლობის შესახებ აქტის დაუყოვნებლივ მოსამართლისთვის გადაცემას, საქმის წარმოების განსაახლებლად;
- ✓ სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის სასამართლო მედიაციის საკითხებზე სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაციის გადაცემას;
- ✓ სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მედიატორისთვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მოთხოვნის საფუძველზე ანაზღაურების გარეშე (Pro Bono) ახლადსერტიფიცირებული მედიატორის თანამედიატორად ჩართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მედიაციაში მონაწილე მხარე ამის წინააღმდეგია;
- ✓ მონიტორიგისთვის საჭირო მასალის მოძიებას და სისტემაში შეყვანას;
- ✓ სასამართლო მედიაციის წარმართვისა და მედიაციის ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების, ასევე რაიმე სახის შეფერხების არსებობის თაობაზე ინფორმაციის სასამართლოს თავმჯდომარისთვის დაუყოვნებლივ მიწოდებას;
- ✓ სასამართლო მედიაციის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა მოვალეობების განხორციელებას.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეებს, ასევე მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებს დაევალოთ მას შემდეგ, რაც საქმის განმხილველი მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას მის წარმოებაში არსებული საქმე გადასცეს მედიატორს, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი დღისა, განჩინებას საქმის მედიაციისთვის გადაცემის შესახებ და საქმის მასალების ასლები გადასცეს კონსულტანტს მედიაციის საკითხებში - ***სერგო ლორთქიფანიძეს,*** თავის მხრივ ***სერგო ლორთქიფანიძე*** ვალდებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მედიაციას დაქვემდებარებული საქმის მისთვის გადაცემა ასახოს სპეციალურად ამ მიზნისთვის გახსნილ ჟურნალში, სადაც აღინიშნება საქმის მედიაციისთვის გადაცემის თარიღი, საქმის ნომერი, მხარეები.

3. დამტკიცდეს საინფორმაციო ბარათის ფორმა დანართი №1 სახით;

4. დამტკიცდეს ჩატარებული სესიების თაობაზე უწყისი დანართი №2 სახით;

5. დამტკიცდეს მედიატორის კონფიდენციალურობის ხელწერილი დანართი №3 სახით;

6. დამტკიცდეს მედიატორის აცილების ხელწერილი დანართი №4 სახით;

7. დამტკიცდეს მხარის ხელწერილი კონფიდენციალურობის თაობაზე დანართი №5 სახით;

8. დამტკიცდეს თარჯიმნის გაფრთხილების ხელწერილი დანართი №6 სახით;

9. დამტკიცდეს უწყება დანართი №7 და დანართი №8 სახით;

10. დამტკიცდეს მხარეებისთვის მედიატორთა კანდიდატურების შეთავაზების აქტი დანართი №9 სახით;

11. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარისთვის მიმართვის ფორმა, მედიატორის დანიშვნის თაობაზე, დანართი №10 სახით;

12. დამტკიცდეს მედიატორთა კანდიდატზე შეუთანხმებლობის შესახებ აქტი დანართი №11 სახით;

13. დამტკიცდეს მედიატორთა კანდიდატზე შეთანხმების შესახებ აქტი დანართი №12 სახით;

14. დამტკიცდეს კურიერის საინფორმაციო ბარათი დანართი №13 სახით;

15. დამტკიცდეს მოსამართლისთვის მიმართვის ფორმა წარმოების განახლების თაობაზე დანართი №14 სახით;

16. დამტკიცდეს მოსამართლისთვის მიმართვის ფორმა სამედიაციო მორიგების აქტის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე დანართი №15 სახით;

17. დამტკიცდეს სასამართლო მედიაციის ვადის გაგრძელების შესახებ აქტი დანართი №16 სახით;

18. დამტკიცდეს კმაყოფილების შეფასების კითხვარი დანართი №17 სახით;

19. დამტკიცდეს სასამართლო მედიაციის დასრულების შესახებ აქტი დანართი №18 სახით;

20. დამტკიცდეს სამედიაციო მორიგების აქტი დანართი №19 სახით;

21. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

22. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

23. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე

*დანართი № 1*

*დამტკიცებულია*
*რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის*
*2023 წლის „03" ნოემბრის №559/თ ბრძანებით*

№ __ (2-____-___)

ქ. რუსთავი

## *საინფორმაციო ბარათი*

საქმის სასამართლო მედიაციისთვის
გადაცემის თარიღი: „____" ________________, ______ წელი

სასამართლოს საქმის ნომერი: ______________

დავის საგანი: ____________________________

საქმე სასამართლო მედიაცის გადაეცა:

*მხარეთა თანხმობით:* ☐

*მხარეთა თანხმობის გარეშე:* ☐

მედიატორი შეირჩა მხარეთა შეთანხმებით: ☐

მედიატორი დანიშნა
სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ: ☐

მედიატორი: ______________________________________

*სპეციალისტი მედიაციის საკითხებში:* ______________________

*მხარეები*

მოსარჩელე - ________________________________________

*მისამართი:* ________________________________________

*ტელეფონი:* ________________________________________

*ელ.ფოსტა:* ________________________________________

წარმომადგენელი - ________________________________________

*მისამართი:* ________________________________________

*ტელეფონი:* ________________________________________

*ელ.ფოსტა:* ________________________________________

მოპასუხე - ________________________________________

*მისამართი:* ________________________________________

*ტელეფონი:* ________________________________________

*ელ.ფოსტა:* ________________________________________

წარმომადგენელი - ________________________________________

*მისამართი:* ________________________________________

*ტელეფონი:* ________________________________________

*ელ.ფოსტა:* ________________________________________

***სპეციალისტი მედიაციის საკითხებში:*** ______________________________

*სესიების რაოდენობა*

1. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი;
2. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი;
3. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი;
4. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი;
5. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი;
6. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი;
7. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი;
8. „____“ __________________, _____ წელი, დაიწყო ___:___ საათი - დასრულდა ___:___ საათი.

სასამართლო მედიაციის წარმართვის ენა: ____________________

თარჯიმნის სახელი, გვარი: ____________________

*სასამართლო მედიაციის ვადის გაგრძელება*

სასამართლო მედიაციის ვადა გაგძელდა ____ წლის „____“ __________________

გაგრძელების ვადა: „____“ დღე

*მედიაციის შედეგი*

დასრულდა შეთანხმებით: ☐

დასრულდა შეუთანხმებლად: ☐

*სპეციალისტი მედიაციის საკითხებში:* ____________________

*დანართი № 2*

*დამტკიცებულია*

*რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის*

*2023 წლის „03" ნოემბრის №559/თ ბრძანებით*

## *ჩატარებული სესიების თაობაზე უწყისი*

საქმე № ___________

სესიის დაწყების საათი: „__" ____________, ____ წელი, __:__ საათი

სესიაზე გამოცხადნენ:

1. ________________________________
2. ________________________________
3. ________________________________
4. ________________________________

სესიაზე არ გამოცხადდნენ:

1. ________________________________
2. ________________________________
3. ________________________________
4. ________________________________

*გამოუცხადებლობის მიზეზი*

____________________________________________________________

____________________________________________________________

თარჯიმნის საჭიროების შემთხვევაში:

თარჯიმნის სახელი, გვარი: ________________________________

სასამართლო მედიაციის წარმართვის ენა: __________________________

სესიის დასრულების საათი: „__" ____________, ____ წელი, __:__ საათი

სესიის ხანგრძლივობა: ____ წუთი

*მხარეთა ხელმოწერები*

| | | |
|---|---|---|
| სახელი | გვარი | ხელმოწერა |
| სახელი | გვარი | ხელმოწერა |
| სახელი | გვარი | ხელმოწერა |
| სახელი | გვარი | ხელმოწერა |

მედიატორი: ____________________

თარჯიმანი: ____________________

კონსულტანტი მედიაციის საკითხებში: ____________________

*დანართი № 3*

*დამტკიცებულია*

*რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის*

*2023 წლის „03“ ნოემბრის №559/თ ბრძანებით*

*კონფიდენციალურობის ხელწერილი*

*მედიატორი*

„__“ __________, ____ წელი

ქ. რუსთავი

გაფრთხილებული ვარ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების თაობაზე.

- ✓ ვითვალისწინებ, რომ მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. ასევე კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, თუ ამ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარეს/მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აგრეთვე თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის აუცილებელი არ არის.

- ✓ ვითვალისწინებ, რომ მიღებული ინფორმაცია მედიაციის მონაწილეებმა არ შეიძლება გამოიყენონ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დროს ან დავის ნებისმიერი სხვა საშუალებით განხილვის პროცესში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

- ✓ ვითვალისწინებ, რომ არ მაქვს უფლება, მხარეს მიეწოდოს მეორე მხარის მიერ ინდივიდუალური კომუნიკაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარისაგან მიღებული მაქვს აშკარა თანხმობა აღნიშნული ინფორმაციის მხარისათვის მიწოდებაზე.

- ✓ ვითვალისწინებ, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კონფიდენციალური ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის ან ორგანოსათვის გამჟღავნება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით უნდა მოხდეს, ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მესამე პირისაგან.

- ✓ ვითვალისწინებ ვალდებულებას, რომ მედიაციის დაწყებამდე მხარეებს მივაწოდო ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისა და მისი ფარგლების შესახებ.

- ✓ ვითვალისწინებ, რომ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მოქმედებს მედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კონფიდენციალურობის ხელწერილს ვადასტურებ ხელმოწერით:

მედიატორი: ____________________________ ____________________

სახელი გვარი ხელმოწერა

*დანართი № 4*

*დამტკიცებულია*

*რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის*

*2023 წლის „03" ნოემბრის №559/თ ბრძანებით*

## მედიატორის აცილების ხელწერილი

მხარე: ______________________________________________________________

ვადასტურებ, რომ განმემარტა კანონმდებლობით დანიშნული მედიატორის აცილების საფუძვლები, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187⁴-ე მუხლის თანახმად, მედიატორის აცილება დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით, ამდენად:

მედიატორმა არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომდგენლის ნათესავია;

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში;

ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

| | |
|---|---|
| ______________________ | ______________________ |
| (მხარის სახელი და გვარი) | (ხელმოწერა) |
| ______________________ | ______________________ |
| (მხარის სახელი და გვარი) | (ხელმოწერა) |
| ______________________ | ______________________ |
| (მხარის სახელი და გვარი) | (ხელმოწერა) |
| ______________________ | ______________________ |
| (მხარის სახელი და გვარი) | (ხელმოწერა) |

მედიატორი: ______________________________

თარჯიმანი: ______________________________

კონსულტანტი მედიაციის საკითხებში: ______________________________

*დანართი № 5*

*დამტკიცებულია*

*რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის*

*2023 წლის „03“ ნოემბრის №559/თ ბრძანებით*

***ხელწერილი კონფიდენციალურობის თაობაზე***

***მხარე (წარმომადგენელი)***

„__“ ___________, ____ წელი ქ. რუსთავი

მე: ________________________________

ვიძლევი ამ ხელწერილს მასზედ, რომ:

გაფრთხილებული ვარ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების თაობაზე.

- ✓ ვითვალისწინებ, რომ მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. ასევე კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, თუ ამ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარეს/მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აგრეთვე თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის აუცილებელი არ არის.
- ✓ ვითვალისწინებ, რომ მიღებული ინფორმაცია მედიაციის მონაწილეებმა არ შეიძლება გამოიყენონ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დროს ან დავის ნებისმიერი სხვა საშუალებით განხილვის პროცესში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ✓ ვითვალისწინებ, რომ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კონფიდენციალური ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის ან ორგანოსათვის გამჟღავნება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით უნდა მოხდეს, ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მესამე პირისაგან.
- ✓ ვითვალისწინებ, რომ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მოქმედებს მედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გაფრთხილების ხელწერილს ვადასტურებ ხელმოწერით:

მხარე: ____________________________ ____________________

სახელი გვარი ხელმოწერა

ხელწერილი ჩამოვართვი:

კონსულტანტი მედიაციის საკითხებში: ____________________________

დანართი № 6

დამტკიცებულია

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის

2023 წლის „03" ნოემბრის №559/თ ბრძანებით

გაფრთხილების ხელწერილი

თარჯიმანი

„__" __________, ____ წელი

ქ. რუსთავი

მე თარჯიმანი: ________________________________

ვიძლევი ამ ხელწერილს მასზედ, რომ ვთარგმნო ____________________-დან ქართულად და პირიქით.

გაფრთხილებული ვარ, რომ განზრახ არასწორად თარგმნისთვის პასუხს ვაგებ, საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლით.

გაფრთხილებული ვარ „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების თაობაზე.

- ✓ ვითვალისწინებ, რომ მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. ასევე კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, თუ ამ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარეს/მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აგრეთვე თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის აუცილებელი არ არის.
- ✓ ვითვალისწინებ, რომ მიღებული ინფორმაცია მედიაციის მონაწილეებმა არ შეიძლება გამოიყენონ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დროს ან დავის ნებისმიერი სხვა საშუალებით განხილვის პროცესში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ✓ ვითვალისწინებ, რომ არ მაქვს უფლება, მხარეს მიეწოდოს მეორე მხარის მიერ ინდივიდუალური კომუნიკაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარისაგან მედიატორს მიღებული აქვს აშკარა თანხმობა აღნიშნული ინფორმაციის მხარისათვის მიწოდებაზე.
- ✓ ვითვალისწინებ, რომ „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კონფიდენციალური ინფორმაციის უფლებამოსილი პირისათვის ან ორგანოსათვის გამჟღავნება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით უნდა მოხდეს, ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მესამე პირისაგან.
- ✓ ვითვალისწინებ, რომ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მოქმედებს მედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გაფრთხილების ხელწერილს ვადასტურებ ხელმოწერით:

თარჯიმანი: ________________________________ ____________________

სახელი გვარი ხელმოწერა

ხელწერილი ჩამოვართვი:

კონსულტანტი მედიაციის საკითხებში: ________________________________

საქმე №

*დანართი № 7*

*დამტკიცებულია*
*რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის*
*2023 წლის „03" ნოემბრის №559/თ ბრძანებით*

**უწყება**

**(ხელწერილი)**

**სასამართლო მედიაციის პროცესზე გამოძახებისა (დაბარებისა) და გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ**

მედიაციის შემდეგ პროცესს გინიშნავთ ______ წლის „----„ ----------------------- ----:---- საათზე.

**გამოუცხადებლობის შედეგები!**

მხარეები ვალდებული არიან გამოცხადდნენ მედიატორის მიერ დანიშნულ დროსა და ადგილზე სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის. სასამართლო მედიაციის პროცესში მედიატორის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $187^5$ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანიშნულ შეხვედრაზე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება სასამართლო ხარჯების სრულად დაფარვა, მიუხედავად იმისა, რა შედეგით დასრულდება სასამართლოში საქმის განხილვა, და ჯარიმა 150 ლარის ოდენობით. სასამართლო მედიაციის პროცესში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მხარეს არ დაეკისრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $187^6$ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $187^6$ მუხლის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება, თუ საქმის სასამართლოში განხილვის დროს დავა მხარეთა შორის მორიგებით დასრულდა.

უწყების (ხელწერილის) ტექსტს გავეცანი, მედიაციის პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგები ჩემთვის ცნობილია, რაზედაც ხელს ვაწერ:

1. ............................................................................................/
2. ............................................................................................/
3. ............................................................................................/
4. ............................................................................................/
5. ............................................................................................/
6. ............................................................................................/

მედიატორი: ______________________ ______________________

სახელი, გვარი ხელმოწერა

კონსულტანტი
მედიაციის საკითხებში: ______________________ ______________________

სახელი, გვარი ხელმოწერა

*დანართი № 8*

*დამტკიცებულია*

*რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის*

*2023 წლის „03“ ნოემბრის №559/თ ბრძანებით*

**უწყება**

საქმეზე №__(2-____-___)

უწყების გაგზავნის თარიღი: „__“, „__“, _____ წელი

სასამართლოს სახელწოდება, მისამართი: ____________________

თარიღი: ____________________

მედიატორთან დასაბარებელი პირის სახელი, გვარი: ____________________

დასაბარებელი პირის მისამართი: ____________________

________________________________________

მხარეები: მოსარჩელე, მოპასუხე

________________________________________

უწყების მიმღების სახელი, გვარი, თანამდებობა

________________________________________

უწყების მიმღების ადრესატთან დამოკიდებულება, თუ უწყება ჩაბარდა სხვა პირს ან სამუშაო ადგილის/ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს

________________________________________

